ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გრიფირების განაცხადის რეგისტრაციისა და სხვა ვადები

1. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტმის მიერ გრიფირების ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მომზადება დასრულდეს 2017 წლის აგვისტოს ბოლომდე;

2. გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის ვადა:
   2.1 საბუთების წარდგენა - 2017 წლის 2-15 ოქტომბერი;

   2.2 სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტების წარდგენა - 2017 წლის 23-31 ოქტომბერი.

3. გრიფირების განაცხადის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების და ხარვეზის აღმოფხვრის ვადა:
   3.1 გრიფირების განაცხადის შემოწმება - არაუგვიანეს 7 სამუშაო დღე;
   3.2 ხარვეზის გამოსასწორებლად განსაზღვრული ვადა - არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

4. რეცენზირების ვადა:

   4.1 ტექნიკური რეცენზირება (მათ შორის რეცენზიების გაცნობა/მითითებების ასახვა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება) დასრულდეს არაუგვიანეს 2017 წლის 19 ნოემბრისა;

   4.2 შინაარსობრივი რეცენზირება/საჯარო განხილვა (მათ შორის რეცენზიების გაცნობა/რეკომენდაციების ასახვა/კორექტურა/ავთენტურობის შემოწმება) დასრულდეს არაუგვიანეს 2018 წლის 25 მარტისა.

5. მოსაზრებების წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა:

   5.1 მოსაზრებების წარდგენის ვადა - რეცენზირების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 4 კალენდარული დღე;

   5.2 მოსაზრებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა - მოსაზრებების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღე.

6. გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადა - არაუგვიანეს 2018 წლის 10 აპრილი.